ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3679531

ნომერი: AR1555117

თარიღი : 06.11.2017

გაცემის თარიღი : 14.11.2017

გაცნობის თარიღი : 14.11.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ადილ პირიევი პ/ნ 28001048472
- საქართველო, მარნეული, ყოფილი მეკარტოფილეობის მეურნეობა

ორგანიზაცია:

- შპს Mar-mot კოდი: 434159947

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის

გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 6 ნოემბრის NAR1555117 განცხადება, რომელშიც ითხოვთ ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.15.008.065) მრავალფუნქციური კომპლექსი შენობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ ინდივიდუალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების დადგენის საკითხი განხილული იყო „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 2017 წლის 07 სექტემბრის N36 სხდომაზე. საბჭოს რეკომენდაციით უარი ეთქვა ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.15.008.065) კომერციული, საოფისე, სავაჭრო ობიექტის განთავსების მიზნით ინდივიდუალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების დადგენაზე. ამ ნაკვეთის სამშენებლო განვითარებაზე უკვე იმსჯელა საბჭომ წინა განაცხადის ფარგლებში, საჭიროა გაითვალისწინოთ საბჭოს რეკომენდაციები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 6 ნოემბრის NAR1555117 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.